

საიდ. N 74829/03

IR 828824

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №188-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ა. დალაქიშვილი, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „აპლუს სერვისიოს ტექნოლოგიკოს, ს.ლ.“ (APPLUS SERVICIOS TECNOLÓGICOS, S.L.) (მის.: კარეტერა დე ასესო ა ლა ფაკულტად დე მედისინა, ს/ნ კამპუს დე ლა უაბ-ბელატერა, E-08193 სერდანოლა დელ ვალიეს (ბარსელონა), ესპანეთი; Carretera de Acceso a la Facultad de Medicina, S/N Campus de la Uab-Bellaterra, E-08193 CERDANYOLA DEL VALLÈS (BARCELONA) (ES)) N188-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ოქტომბრის №2565/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (42-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ოქტომბრის №2565/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი ნიშანი „Applus+“ (ლათინური ანბანით შესრულებული), მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „ეფლ ინკ.“ (Apple Inc.) (მის:1 Infinite Loop, Cupertino CA 95014) სახელზე რეგისტრირებული, ლათინური ანბანით შესრულებული სასაქონლო ნიშნებისა: „APPLE“ (რეგ. N870749 რეგ. თარიღი: 07/06/2005წ.), „APPLE“ (რეგ. N956402 რეგ. თარიღი: 01/11/2007წ.), „APPLE STORE“ (რეგ. N 973841 რეგ. თარიღი: 11/03/2008წ.), და აგრეთვე მსგავსია იგივე კომპანიის მიერ საქპატენტში რეგისტრირებული, ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა - „APPLE“ (რეგ. N7433 რეგ. თარიღი: 10/11/1997). დაპირისპირებულ ნიშნებს მხოლოდ დაბოლოება აქვთ განსხვავებული, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 42-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს „Applus+“, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 42-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი განმარტავს, რომ ნიშნების მსგავსების დადგენისას ექსპერტი განიხილავს დაპირისპირებული ნიშნების ვიზუალურ მხარეს, ფონეტიკურ ჟღერადობას და მათ შინაარსს, თუ ნიშნებს აქვთ სემანტიკურ მნიშვნელობა. მისი აზრით, დაპირისპირებული ნიშნები ამ თვალსაზრისით სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

აპელანტის მტკიცებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „APPLE“ (რეგ. N870749 რეგ. თარიღი: 07/06/2005წ.), „APPLE“ (რეგ. N956402 რეგ. თარიღი: 01/11/2007წ.), „APPLE STORE“ (რეგ. N 973841 რეგ. თარიღი: 11/03/2008წ.) და „APPLE“ (რეგ. N7433 რეგ. თარიღი: 10/11/1997), წარმოადგენენ ლათინური ანბანით შესრულებულ აღნიშვნებს, რომელიც შედგება 5 სტანდარტული ასო-ნიშნისაგან, მაშინ, როდესაც განცხადებული ნიშანი „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) კომბინირებული, ფერადი ნიშანია. მისი პირველი ასო „A“ და გამოსახულებითი ნაწილი ყვითელი ფერისაა, ხოლო სიტყვიერი ნაწილი წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებულ ექვსასოიან აღნიშვნას, რომლის პირველი ასო „A“ და მეორე ასო „P“ სტილიზებულია, ხოლო ნიშნის ბოლოს განლაგებულია კუთხეებ მომრგვალებულ მართკუთხედში მოთავსებული შეკრების ნიშნის გრაფიკული აღნიშვნა „+“, რომლის სიტყვიერი დასახელება წარმოადგენს ნიშნის მეორე ნაწილის „PLUS“ გამეორებას. აპელანტის აზრით, განცხადებული ნიშანი მომხმარებლის მიერ აღიქმება, როგორც უფრო გრძელი და ფერადი ორიგინალური კომბინირებული ნიშანი, ვიდრე მოკლე შავ-თეთრი ნიშანი „APPLE“, რაც გამორიცხავს ამ ორი ნიშნის ვიზუალურ მსგავსებას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მომსახურების განმახორციელებელი კომპანიის მიმართ. რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ ნიშანს „APPLE STORE“, აპელანტის აზრით, იგი ორსიტყვიანია და მასში დამატებითი ტერმინის „STORE“ არსებობა, უფრო აძლიერებს მათ შორის არსებულ ვიზუალურ განსხვავებას და სრულიად გამორიცხავს მის მსგავსებას განცხადებულ კომბინირებულ ნიშანთან „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აპელანტი მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული ნიშანი ფონეტიკურად გამოითქმის, როგორც „ეპლ“, მაშინ, როდესაც განცხადებული ნიშანი „Appplus+“ ჟღერს როგორც „აპლუს პლუს“ (ესპანური ტრანსკრიპცია), ანუ ერთნაირად ჟღერს ნიშნების მხოლოდ ორი ასო „პ“ და „ლ“, შესაბამისად, აპელანტის აზრით, განსხვავებული ჟღერადობის გამო გამორიცხულია ამ ორი ნიშნის ფონეტიკურ მსგავსება. აპელანტი მიიჩნევს, რომ უფრო მკვეთრია ფონეტიკური განსხვავება დაპირისპირებულ ნიშანსა „APPLE STORE“, რომელიც ჟღერს, როგორც ფრაზა „ეპლ სთო“ და განცხადებულ ნიშანს, რომელიც ჟღერს, როგორც „აპლუს პლუს“, შორის. მისი აზრით, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური განსხვავება გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მომსახურების განმახორციელებელი კომპანიის მიმართ.

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს ნიშნების სემანტიკაზე, მისი აზრით, განსხვავებით დაპირისპირებული ნიშნების სემანტიკური მნიშვნელობისა „ვაშლი“ და „ვაშლის მალაზია“, „ვაშლის საწყობი“, „ვაშლის მარაგი“, განცხადებული ნიშნის „Appplus+“ სიტყვიერი ნაწილი ფანტაზიურია და სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნია. აპელანტს მიაჩნია, რომ ნიშნებს შორის სემანტიკური განსხვავება სრულიად გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მათ აღრევას და შედეგად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მომსახურების განმახორციელებელი კომპანიის მიმართ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აპელანტი დამატებით აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს აქვს შემდეგი მიდგომა: თუ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ სემანტიკური მნიშვნელობა, ნიშნებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ორივე ნიშნის რეგისტრაცია და მათი თანაარსებობა ერთ სასაქონლო ბაზარზე.

აპელანტი აღნიშნავს, რომ ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ჩამონათვლისათვის, რომელსაც ნიშნების იდენტურობის ან მსგავსების შემთხვევაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. აპელანტი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს, საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების „APPLE“ და „APPLE STORE“, რეგისტრაცია მოთხოვება 42-ე კლასის მომსახურებისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოხატება განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების მომსახურების მსგავსება. აპელანტის აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 42-ე კლასში შემავალი მომსახურებისათვის, არ არის საკმარისი მომსახურების მსგავსების დასადგენად. აპელანტი იშველიებს, საერთაშორისო პრაქტიკას და განმარტავს, რომ ნიცის კლასიფიკატორი არ წარმოადგენს მომსახურების მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანია, მხოლოდ საქონლის და/ან მომსახურების კლასიფიკაცია და რომ საქონლის და/ან მომსახურების ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში არსებობა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. აპელანტის აზრით, საქონლის მსგავსების დადგენა, ექსპერტიზის მიერ, უნდა მოხდეს საქონლის და/ან მომსახურების სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად, რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით.

აპელანტი აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება 42-ე კლასის შემდეგი ჩამონათვლისათვის: „სამეცნიერო და ტექნოლოგიური მომსახურება, ასევე, მასთან დაკავშირებული კვლევითი და დიზაინის მომსახურება, სამრეწველო ანალიზისა და კვლევის მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფის

დიზაინისა და სრულყოფის მომსახურება, იურიდიული მომსახურება“ (Scientific and technological services, as well as research and design services relating thereto, industrial analysis and research services, software design and development, legal services), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მომსახურების ჩამონათვალი კი შემდეგია:

1. „APPLE“ (რეგ N870749) „კომპიუტერთან დაკავშირებული საკონსულტაციო, დიზაინის, ტესტირების, კვლევისა და რჩევების მომსახურება; კომპიუტერის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კვლევა და დამუშავება; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის განაცხადების ექსპლუატაცია და რემონტი; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; კომპიუტერის პროგრამირების სამსახური; კომპიუტერებსა და კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაციით უზრუნველყოფა კომპიუტერული ქსელებისა და კავშირის გლობალური ქსელის მეშვეობით; კომპიუტერული მომსახურება, კერძოდ, ვებ საიტების ჰოსტინგი და ვებ საიტების ოპერირებისა და მართვის მომსახურება მესამე პირთათვის; კომპიუტერული მომსახურება, კერძოდ, კომპიუტერულ ქსელსა და კავშირის გლობალური ქსელში მონაცემების მოპოვების მოძიების სისტემებით უზრუნველყოფა“ („Computer consultation, design, testing, research and advisory services; research and development of computer hardware and software; maintenance and repair of computer software applications; updating of computer software; computer programming services; providing information concerning computers and computer software over computer networks and global communication networks; computer services, namely, hosting web sites and providing web site operation and management services to others; computer services, namely, providing search engines for obtaining data on computer networks and global communication networks“);

2. APPLE STORE (რეგ. N973841) „ტექნიკური მომსახურება, კერძოდ, კომპიუტერის დიაგნოსტიკის პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერის პერიფერიული აღჭურვილობა, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და სამომხმარებლო ელექტრონული ხელსაწყოები; კომპიუტერის პროგრამული

უზრუნველყოფის დაყენება, განახლება, ტექნიკური მომსახურება და შეკეთება; კომპიუტერებსა და სამომხმარებლო ელექტრონიკასთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაცია; კომპიუტერისა და სამომხმარებლო ელექტრონიკის დიაგნოსტიკის მომსახურება; საკონსულტაციო მომსახურება მესამე პირთათვის კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფისა და სამომხმარებლო ელექტრონული სისტემების შერჩევის, ექსპლუატაციისა და გამოყენების სფეროში; კომპიუტერის მონაცემთა აღდგენა“ („Technical support services, namely, troubleshooting computer hardware, computer peripheral, computer software and consumer electronic devices; installation, updating, maintenance and repair of computer software; technical consulting in the field of computers and consumer electronics; computer and consumer electronic diagnostic services; consulting services in the field of selection, implementation and use of computer hardware, computer software and consumer electronic systems for others; computer data recovery“); 3. APPLE (რეგ.N7433) „პროფესიული კონსულტაციები, რომლებიც შეტანილია 42-ე კლასში, პროგრამების შედგენა კომპიუტერებისათვის, მონაცემების დამუშავება და რედაქტირება, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებისა და ელექტრონული საფოსტო ყუთების გაქირავება, გამოფენების ორგანიზაცია“.

აპელანტის აზრით, დაპირისპირებული ნიშნების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის შედარებისას, აშკარაა მათ შორის არსებული განსხვავება, კერძოდ, განცხადებული ნიშნის მფლობელი კომპანია, ახორციელებს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კვლევებს, ანალიზსა და დიზაინის მომსახურებას, ხოლო დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვლიდან მკაფიოდ იკვეთება, რომ ნიშნების მფლობელი კომპანიის „ეპლ ინკ.“, საქმიანობა დაკავშირებულია კომპიუტერების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებასთან და ამ საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებთან. აპელანტმა სააპელაციო პალატას წარუდგინა კომპანიების ამონაწერები, რომლებიც მისი მტკიცებით, ადასტურებენ დაპირისპირებული ნიშნების კომპანიების განსხვავებულ საქმიანობას.

აპელანტი ზემოაღნიშნული ამონაწერების საფუძველზე აღნიშნავს, რომ კომპანია „აპლუს სერვისიოს ტექნოლოგიკოს, ს.ლ.“ წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან აკრედიტირებულ კომპანიას, რომლის 350-ზე მეტი ლაბორატორია და ოფისი 60-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს სხვადასხვა სახის, მათ შორის, ნავთობისა და გაზის, საავტომობილო, მრეწველობისა და ტელეკომუნიკაციის ნაწარმის ტესტირებას, შემოწმებასა და ინსპექტირებას მათი ხარისხიანობის, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოებისა გარემოს დაცვის მიმართებით.

აპელანტი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კომპანია წარმოადგენს სპეციალური ეთიკური კოდის საფუძველზე მოქმედ სუბიექტს, რაც, ასევე, მეტყველებს მის მაღალ რეპუტაციაზე.

აპელანტის აზრით, კომპანია „ეპლ ინკ.“ არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომპანია, რომელიც აწარმოებს სამომხმარებლო ელექტრონიკასა და მისთვის განკუთვნილ პროგრამულ უზრუნველყოფას.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „APPLUS“, წარმოადგენს განმცხადებელი კომპანიის „აპლუს სერვისიოს ტექნოლოგიკოს, ს.ლ.“ (APPLUS SERVICIOS TECNOLÓGICOS, S.L.) სახელწოდების ძირითად ნაწილს, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „APPLE“, ასევე, წარმოადგენს მფლობელი კომპანიის „ეპლ ინკ.“ (Apple Inc.) სახელწოდების ძირითად ელემენტს. აქედან გამომდინარე, აპელანტს მიაჩნია, რომ დაპირისპირებული ნიშნების მფლობელი კომპანიები სასაქონლო ნიშნებად იყენებენ კომპანიის დასახელების ძირითად ელემენტებს, რაც სრულიად გამორიცხავს განმცხადებელი კომპანიის არაკეთილსინდისიერ განზრახვას, ისარგებლოს დაპირისპირებული ნიშნის კარგი რეპუტაციით. მის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის საფირმო დასახელების ძირითადი ელემენტის დარეგისტრირება სასაქონლო ნიშნად.

აპელანტმა სააპელაციო პალატას წარუდგინა ამონაწერები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის რეესტრიდან, რითაც დასტურდება ამ ორი ნიშნის მშვიდობიანი თანაარსებობის ფაქტი ჩინეთის სახალხო

რესპუბლიკის, კორეის რესპუბლიკის, ავსტრალიის, სინგაპურის, ისლანდიის, ხორვატიის, კუბისა და რუსეთის ბაზარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ოქტომბრის №2565/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) მიენიჭოს დაცვა განცხადებული მომსახურების სრული ჩამონათვლის მიმართ

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი №188-03/14 უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „ მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „APPLE“ (IR 870749), „APPLE“ (IR 956402), „APPLE STORE“ (IR 973841) და „APPLE“ (რეგ. N7433) არ არის მსგავსი და მათ შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური განსხვავება.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შეიცავს ლათინური ანბანით შესრულებულ სიტყვიერი ელემენტს, რომელიც შედგება ექვსი ასოგან. სასაქონლო ნიშანი ასევე შეიცავს დამატებით გამოსახულებით ელემენტს, კერძოდ, მომრგვალებულ კუთხეებიან გეომეტრიულ ფიგურაში ჩასმულ მიმატების ნიშანს -

„+“. განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ელემენტების დაბოლოებები, განცხადებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში „us+“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში „E“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ანბანით, შედგება ხუთი ასოსგან, ხოლო ერთ-ერთი მათგანი - „APPLE STORE“ (IR 973841), შეიცავს ასევე დამატებით სიტყვიერ ელემენტს „STORE“ და მთლიანობაში ათი ასოსგან შედგება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვიზუალური თვალსაზრისით, სასაქონლო ნიშნები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც - „აპლუსი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, როგორც „ეფლ“ და „ეფლ სთორ“, შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ფონეტიკური თვალსაზრისით აღრევის შესაძლებლობა.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სემანტიკურ განსხვავებას, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Applus+“ ფანტაზიურია და წარმოადგენს განმცხადებელი კომპანიის სახელწოდების პირველი სამი ასოსა და მათემატიკური სიმბოლოს - მიმატების ნიშნის სიტყვიერი გამოხატვის კომბინაციას და გამოითქმის როგორც „აპლუსი“, რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს, მათ აქვთ სემანტიკური მნიშვნელობა და ქართულ ენაზე ნიშნავს „ვაშლს“ და „ვაშლის მაღაზიას“. სააპელაციო პალატის კოლეგია, იზიარებს აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებიდან ერთ-ერთს მაინც აქვს სემანტიკური მნიშვნელობა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 42-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ერთ

სასაქონლო ბაზარზე მსგავსი საქონლის მიმართ აღნიშნული სასაქონლო ნიშნების თანაარსებობის პირობებში, არ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა 42-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) უნდა მიენიჭოს დაცვა მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „აპლუს სერვისიოს ტექნოლოგიკოს, ს.ლ.“ (APPLUS SERVICIOS TECNOLÓGICOS, S.L.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №188-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 13 ოქტომბრის №2565/03 ბრძანება

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Applus+“ (საიდ. N74829/03, IR 828824) მიენიჭოს დაცვა 42-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ქ. კილაძე

ა. დალაქიშვილი